Რ. ჟანენ

ქართველები

იერუსალიმში

ავტორის წინასიტყვაობით

(ფრანგულიდან)

პ. შალვა ვარდიძისა

სტამბოლი
საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა
1921

მკითხველთა საყურადღებოდ

საქართველოს ეკლესიური ისტორია ბევრ ნაირად გამოურკვეველია, რადგან ყველა ის საისტორიო მასალა, რომელიც ჩვენში და უცხო ქვეყნებში მოიპოება, ბევრი დღესაც კიდევ შეუსწავლელია. ამ ნაკლს სხვაც მუდამ თან დაჰყვებოდა. რაც კი ჩვენს ლიტერატურაში დამუშავებული და ნათელი იყო, იმასაც დღემდის დასავლეთში ძალიან ნაკლებათ იცნობდენ. ამ მხრივ დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის კონსტანტინეპოლის კათოლიკე ქართველთა სავანის წევრს **მ. მიხეილ თამარაშვილს**, რომელმაც თავისი დაუღალავი მეცადინეობით და გამოკვლევით ბევრი რამ ნათელ ჰყო ჩვენ საეკლესიო ისტორიაში.

ჯერედ ქართულად დასწერა და თბილისში გამოსცა 1902

წელს **ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის** და ორი წლის შემდეგ **პასუხად სომხის მწერლებს.**

დასავლეთის მკვლევართ ამ წიგნებით ვერ ისარგებლეს, ცოტათი მაინც რომ შეეცვალათ თავიანთი შეხედულება ივერიის ეკლესიის დასაწყისზე, მის ლიტურგიაზე და სასულიერო ლიტერატურაზე, რომლებზედაც მრავალ წლობით სომხური პროპაგანდა გაუგებარ და ისტორიულ სინამდვილეს მოკლებულ ცნობებს ავრცელებდა. ამიტომაც ამავე თამარაშვილმა 1910 წელს რომში გამოსცა ფრანგულ ენაზე ფრიად საყურადღებო წიგნი: „l'EGLISE GÉORGIENNE des Origines jusqu' à nos jours".

ამ წიგნმა რიგის გარეთი და ფრიად სასურველი ზედ-გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის ეკლესიურ ისტორიის მკვლევარებზე, რადგან სულ ახალი და ნამდვილი ისტორიული საბუთები გადაეშალათ თვალ-წინ. მომეტებულად კი კათოლიკეთა ეკლესიის მაღალ წრეებს და მართველობას სულ ახალი შეხედულობა დაუბადა და მითვე უდიდესი თანაგრძნობა და პატივისცემა ივერიის ძველად ბრწყინვალე ეკლესიისადმი.

თამარაშვილი ვიდრე გამოაქვეყნებდა თავის გამოკვლევებს, ისედაც დიდ პროპაგანდას სწევდა ყველგან სიტყვით და მიწერ-

II

მოწერით. იტალიელი მკვლევარი მღ. **აურელიო პალმიერი** ამ ოცი წლის წინეთ სწავლობს ქართულსა და კრიტიკულად იკვლევს ივერიის ეკლესიის დასაწყისსა, ქართველების გაქრისტიანებას და წმიდა ნინოს მოწღვაწეობას ჩვენში და მის ხანას. იტალიურ ენაზე მრავალი მეცნიერული წერილები და გამოკვლევები მოათავსა პერიოდულ ჟურნალ „BESSARIONE — Revi-Sta di Stadi Orientali"-ში (anno VI. vol. I. fase, 63; vol II. Fase 65-66). ხოლო ამათზე უფრო მეტად საყურადღებოა მისი „LA CONVERSIONE uffeiale degl' Iberi al Cristianesimo" — ოფიციალური გაქრისტიანება ივერიელებისა და სულ განსაკუთრებით „LA CHIESA GEORGIANA e le sue origini" — დასაბამი საქართველოს ეკლესიისა — 1901 წელს დაბეჭდილი ქ. რომში, იმავე „Bessarione"-ში (anno V, vol. IX. fase 59-60) და 1904 წელს

ამის დამატებანი (addizioni anno VIII, vol. VI. fase 76 e 77).

თამარაშვილს გერმანიაშიც ჰყავდა მეცნიერი მეგობარი. ფილოსოფიის და ღვთის-მეტყველების დოქტორი **მღ. გიორგი გრაფ** დიდი ხანია იკვლევს საქართველოს ძველ ლიტერატურას და სულ განსაკუთრებით ლიტურგიულსა, მაგრამ რავდენადაც ვიცით, ჯერ-ჯერობით არაფერი გამოუქვეყნებია.

აქ კონსტანტინეპოლში თუთხმეტიოდე წელიწადია აღმოსავლეთურ ეკლესიათა ისტორიას იკვლევდა ფრანგი მღ. **ალიოზ პეტი**, რომელიც დღეს ათინის არხიეპისკოპოსია. ეს პატივცემული მეცნიერი მრავალ გზის შეეხო საქართველოოს ეკლესიას, მის ლიტურგიას და ლიტერატურას; მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ სომხური ფსევდო-ისტორიული გავლენა სამწუხაროდ ყოველთვის თავიდან ვერ აიშორია.

პირ-იქით მისი თანამოძმე, ახალი მკვლევარი, ამ წიგნის ავტორი **მღ. რ. ჟანენი** უფრო სიმპატიურად და სერიოზულად უყურებს ივერიის ეკლესიის წარსულ ისტორიას. პირველი მისი გამოკვლევა **„დასაბამი ქრისტიანობისა საქართველოში** — Les Grigines elirétiennes de la Géorgie“ — დაიბეჭდა 1912 წელს, ორ თვიურ ჟურნალ „ECHOS d’ORIENT“-ში (t. XV, p. 289).

III

დაინტერესებულმა ქართული ეკლესიის წარსულით, რ. ჟანენმა კარგა ხანს დაჰყო პალესტინაში, ადგილობრივ ინახულა ქართველების ყველა ძველი სავანეები, კრიტიკულად გამოიკვლია მათი ისტორია და 1913 წელს იმავე ჟურნალის 98 და 100 ნომრებში გამოსცა ამ სათაურით „Les Géorgiens à Jérusalem — ქართველები იერუსალიმში“ — რომლის თარგმანს, ავტორის წინასიტყვაობით დღეს ვაქვეყნებთ. ამის შემდეგ რ. ჟანენმა კათოლიკურ ღვთის-მეტყველების ენციკლოპედიურ ლექსიკონში საქართველოს შესახებ ვრცელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული, ეკონომიური და პოლიტიკური, რელიგიური და ლიტერატურული გამოკვლევა მოათავსა; აქაც პატივცემული მკვლევარი რიგის გარეთ ცოდნას იჩენს, ვინაიდგან საქართველოს ცხოვრება უძველეს დროიდგან დღევანდლამდე დასაბუთებული აქვს არა მარტო ქართული წყაროებით, რომელიც

ჩვენ დაუთარგმნეთ, არამედ უცხო ტომების ძველ და ახალ მემატიანეთა და მეცნიერთა საბუთებითაც.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ ქართველი მკვლევარები დღემდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში ყოფილ სავანეებს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა ღირსეულად გამოამჟღავნა თვისი შემოქმედებითი ნიჭი და კულტურული ძლიერება. დასავლეთის მწერალთა ყურადღება კი უფრო ამან მიიზიდა და უფრო ამან აღძრა მათში ის თანაგრძნობა და პატივისცემა, რომლის ერთი საუკეთესო გამომხატველი და გამომთქმელი არის მ. რ. ჟანენი.

ჩვენი დიდებული წარსულის დაკარგვა უფრო მეტად აწუხებს ზოგიერთ შეგნებულ უცხოელებს, ვიდრე ჩვენ. და თუ ეს წიგნი „ქართველები იერუსალიმში“ ვსთარგმნეთ და დღეს ქართველ საზოგადოებას ვაწვდით, სხვათა შორის, გვსურს უჩვენოთ ყველას, რამდენად აფასებს და პატივს-სცემს უცხოელი ჩვენს წარსულ შემოქმედებას და დიდებას.

პ. შ. ვარდიძე.

PRÉFACE

L’Eglise géorgienne est certainement l’une des plus illustres de l’Orient, non seulement par les saints et les savants qu’elle a produits et par les oeuvres d’art religieux dont il nous reste de précieux spécimens, mais encore par son rayonnement extérieur et par l'influence qu'elle exerca en plus d’une région et par les luttes qu’elle eut à soutenir de tout temps pour defendre la foi de ses enfants.

Ce rayonnement, elle le fit sentir spécialement dans l’empire byzantin, mais plus particulièrement an mont Athos et en Palestine. Pendant plusieurs siècles du Moyen Age, son prestige est fait de ses gloires militaires, de la vertu de ses moines répandus par centaines hors des frontières du royaume, de ses fondations pieuses, des travaux littéraires et religieux de ses écrivains. C’est à Jerusalem et

dans ses environs que nous nous sommes attachė à retrouver les traces de l'influence gėorgienne, gràce à des textes multiples de cette ėpoque, tant orientaux qu'occidentaux. Nul doute que la Georgie n'en possėde beaucoup d'autres qu'il nous a malheureusement ėtė impossible de consulter. Leur publication fournira certainement plus d'un dėveloppement a notre modeste travail.

Dieu veuille que le souvenir de leur glorieux passė inspire aux Gėorgiens, redevenus maitres de leurs destinėes par une disposition particulière de la Providence, de reprendre bientót la place de choix qui doit ėtre la leur dans l'unique Eglise universelle fondėe par Jėsus-Christ, qui est seule capable de les compreindre et de les traiter comme ses enfants!

R. JANIN.

წინასიტყვაობა

აღმოსავლეთის ეკლესიებში საქართველოს ეკლესია უსათუოდ ერთი უწარჩინებულესთაგანია არა მარტო იმ წმინდანებით და მეცნიერებით, რომლებიც მან წარმოშვა და სასულიერო ხელოვნების ნამოქმედარითა, რომლის ზოგიერთმა ძვირფასმა ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწია, არამედ თავის ბრწყინვალებითა და ზედ-გავლენით, მრავალ უცხო ქვეყნებში რომ მოიპოვა, და აგრეთვე მუდმივი ბრძოლით, ყოველთვის რომ აწარმოებდა თავისი შვილთა სარწმუნოების დასაცველად.

მისი ეს ბრწყინვალე სხივოსნობა თვალსაჩინო შეიქმნა განსაკუთრებით ბიზანტიურ იმპერიის საზღვრებში, მაგრამ ამაზე უფრო მეტად კი **მთა-წმიდასა** და **პალესტინაში**. საშუალო საუკუნეთა რამდენიმე ასი წლის განმავლობაში მას სახელი გაუთქვა მისმა სამხედრო ძლევა-მოსილობამ, საზღვარ გარეთ მრავალ ასობით მოფანტული ბერ-მონაზონების სათნოებამ, სასულიერო-საქველმოქმედო დაწესებულებებმა და მისი მწერლების სამწიგნობრო და სასულიერო ღვაწლმა. ჩვენ აქ მიზნად

დავისახეთ აღმოვაჩინოთ ქართული გავლენა მხოლოდ იერუსალიმსა და მის მიდამოებში, რადგან მრავლათ მოიპოვება იმ დროის საისტორიო საბუთი როგორც აღმოსავლეთურ, ეგრეთვე დასავლეთურ წყაროებში. ეჭვს გარეშეა, საქართველოს სხვა მრავალი მწერლობითი ნაშთიც უნდა მოეპოებოდეს, რომლითაც სამწუხაროდ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ და რომლის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, მრავალ მხრივ გააშუქებდა ამ ჩვენ მცირე ნამოღვაწარს.

ინებოს ღმერთმა და წარსული დიდების ხსოვნამ შთააგონოს ქართველებს — დღეს ზეციური განგებით თავიანთი სვეზედის პატრონებს — რათა დაიბრუნონ ის საპატიო ადგილი, რომელიც მათ უნდა ეკუთვნოდეს იესო ქრისტეს მიერ დამყარებულ ერთად-ერთ მსოფლიო ეკლესიის წიაღში; მხოლოდ ამ ეკლესიას შეუძლია ჯეროვანათ დააფასოს იგინი და ისე მოეპყრას მათ, როგორც თავის საკუთარ შვილებს.

რ. ჟანენ.

1921 წელს, გიორგობისთვის 1-ს.
კონსტანტინეპოლი.

ქართველები იერუსალიმში.

I. სამლოცველოები და სავანეები.

ქრისტიანი ერები ყოველთვის მიილტოდენ პალესტინისაკენ, რადგან რწმენა ამ წმიდა ადგილებისა, სადაც ძველად ქრისტე ღმერთი ცხოვრობდა და ჯვარს ეცვა, დიდ მიმზიდველ ზედგავლენას ახდენდა მათზე.

ესენი თავიანთი სარწმუნოებრივი გულის წადილის დასაკმაყოფილებლად არ ჯერდებოდენ საყვარელ სამლოცველოების მხოლოდ მიმოხილვასა და ხშირად იქვე მკვიდრდებოდენ; ამ სახით ეს ქვეყანა მრავალ გზის საკვირველად აღორძინდა ძვირფასი სავანეებითა და ეკლესიებით.

დღეს მლოცველიც და მოგზაურიც სწუხს და დრტვინავს იმ უწესოების გამო, რომელიც წმიდა ქალაქში სუფევს წელი-

წადის ზოგიერთს დროს და განსაკუთრებით აღდგომის და შობის დღესასწაულებში. მართლაც საოცარია ის განუწყვეტელი დავა და ქიშპობა, რომელიც თავს იჩენს სხვა და სხვა მიმდინარეობის ქრისტიანთა შორის მათი წინაპრების-მიერ დატოვებულ მემკვიდრეობის დასაცველად. საშუალო საუკუნოებში ხალხთა დენა წმიდა ადგილებისკენ უფრო დიდი იყო და ეს ქიშპობა და დავა იმდენად უფრო ძლიერდებოდა და მკაცრ ხასიათს იღებდა, რამდენადაც ემატებოდა იმ ერთა რიცხვი, რომელნიც წმიდა ადგილების დაკავებას ეცილებოდენ ერთიმეორეს. უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ზოგიერთი ამ ხალხთაგანი იერუსალიმში სრულიად გაქრენ, მაგ. სერბიელები,

ქართველები და ბესები *), ან და დაჰკარგეს თავიანთი გავლენა, როგორც მარონიტებმა, კოპტებმა და აბაშელებმა. ძველად კი ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც იმ დროში განსაკუთრებული უპირატესობანი და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში, ქართველებს უდაოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ **).

---

*) ბესები, საფრანგეთის ამავე სახელ-წოდების მაზრის მცხოვრებნი არიან. **შ. ვ.**

**) საქართველოს ეკლესიაში ბერ-მონაზონებრივი ცხოვრების ლტოლვილება ისე მალე გაიზარდა, რომ ჩვენი ქვეყნის შინაგანი და გარე მაზრები აივსო ქართველ მამების და დედების წმიდა დასებით. მალე მათ თავიანთი მოქმედების ასპარეზი უცხო ქვეყნებშიც გადაიტანეს. განსაცვიფრებელია რიცხვი მათ თავშესაფარ სავანეებისა, რომლებიც ააშენეს არა მარტო იერუსალიმსა და პალესტინაში, არამედ სინაიის მთაზე, სირიაში, საბერძნეთში და თვით მაკედონიაში.

ყველგან ბრწყინავდა ქართველ სულიერ მამათა სათნოება, დუღდა ზესთა-ბუნებრივი და გონებრივი მათი ცხოვრება, და მათი წმიდა თავ-შესაფარი ყოველგან იყო კერა ჩვენი ეროვნული კულტურისა. ამისთვის მკითხველის საყურადღებოთ აქ აღვნიშნავთ იმ სავანეების სიას, რომლებიც საზღვარ გარეთ იყვნენ და რომლებზედაც ისტორიული საბუთები ანუ ზეპირ-

გადმოცემითი ცნობები კიდევ დარჩენილია დღემდის.
I. **პალესტინაში**: სავანე წმიდა ჯვრისა; წმიდა მოციქულთა, გაშენებული მეფე გიორგი I-ს მიერ; აბრაამისა, განახლებული მე-XVII საუკუნეში გიორგი აბაშიძის მიერ; წმ. გიორგისა, გაშენებული თავად დადიანის მიერ; წმ. თეკლესი, ქრისტეფორე ზედგინიძისა; წმ. ნიკოლოზისა, გაშენებული საქართ. დედოფლის ელენეს-მიერ; წმ. ვასილისა, გაშენებული ამირინდო ამილახვარის და თაქოს მიერ; წმ. დიმიტრისა, გაშენებული ქსნის ერისთავის შალვას მიერ; წმ. მოციქულის და მახარებელის იოვანესი, გაშენებული სამცხის ათაბეგების მიერ; წმ. თეოდორესი, გაშენებული ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ; წმ. მოციქ. იაკობ ზებედესი; წმ. სამოელ წინასწარმეტყველისა; წმ. ნიკოლოზის მეორე სავანე, გაშენებული პაატა

ამ უკანასკნელების გაქრისტიანების შემდეგ, 50 წელიწადი ძლივს იყო გასული *), როდესაც ერთი მათგანი, ევაგრი, თავისი საღვთის-მეტყველო ბჭობა-კამათით წმიდა იერონიმესთან, უკვე მთელ აღმოსავლეთში ქუხდა. ერთი საუკუნის შემდეგ ამას მოჰყვა ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი, პეტრე ივერიელი, რომელსაც ტყვილად თუ მართლად ევთიხოს მწვალებლობის მომხრეობას აბრალებდენ; ამანაც კიდევ ამცნო პალესტინაში **) ქართველი ერის სახელი.

ვიდრე ეპისკოპოსი გახდებოდა, ამ პეტრე ივერიელს მრავალი სავანეები აუშენებია: ამათში ერთი იერუსალიმში იყო,

---

და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ; წმ. საბასი; წმ. სიმონის ღვთის მიმრქმელისა; გოლგოთაზე ტაძარი ქრისტეს აღდგომისა; წმ. ეკატერინასი, ქალთა სავანე გაშენებული მე-XVII საუკუნეში ამირბარ ციციშვილის და მაჩაბლის მიერ; მირქმისა, ქალთა სავანე გაშენებული რაჭის ერისთავის მიერ; წმ. იოვანე ნათლის მცემელისა მდ. იორდანეზე; მოგზაური ტიმოთე არხიეპისკოპოსი მე-XVII ს-ში 4 მონასტერს იხსენიებს ნაზარეთში.
II. **სირიაში:** წმ. სვიმონ მესვეტისა; ყ-დ წმ. ღვთის-მშობლისა ქ. ალეპის ახლოს; კვიპრის კუნძულისა; შავი მთისა, სირიაში; სინაის მთისა. III. **საბერძნეთში:** ქ. ტრაპიზონისა; ღვთის-მშობლის ივერიის კარისა, ათონზე; აქვე წმ. ფილოთეოზისა;

იონა ღვთის-მეტყველისა, დაფუძნებული ათონზე 1870 წელს; ეკლესია ყ-დ წმ. ღვთის-მშობლისა ოლიმპის მთაზე. IV. **მაკედონიაში**: იერისო, სალონიკის მახლობლად; წმიდა ნინოსი, ქ. ფილიპიპოლის 20 ვერსით დაშორებულ მთაზე. V. **კონსტანტინეპოლისა**, სადაც ქართველთ წმ. ილარიონი დაკრძალეს; უმანკოდ ჩასახებული ყ-დ წმ. ღვთის-მშობლისა, დაფუძნებული მ. პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ 1861 წელს, ფერიკვეის უბანში; იმავე ადგილსა და იგივე სახელწოდებით მანვე 1871 წელს ქართველ დედათა სავანეც დაარსა. შ. ვ.

*) R. Janin, les Origines de la Géorgie. Dans les Echos d'Orient, t, XV. 1912, p. 289.

**) R. Raabe. Petrus der Leipzig 1895.

დანარჩენები კი მდინარე იორდანეს ნაპირებზე. ამ ხანიდან ივერიელები ანუ ქართველები ბლომად მოაწყდენ წმიდა ქვეყანას; აქ ძველადგანვე უჩვენებენ ორ სავანეს, რომელიც მათ ეკუთვნოდა. მართლადაც პროკოპი *) გადმოგვცემს, რომ იუსტინიანემ **) განაახლებინა წმიდა ქალაქში სავანე ივერიელებისა და ჭანებისა ***) იერუსალიმის უდაბნოში ****).

პეტრე ივერიელმა თავისი სავანე გააშენი იერუსალიმში ვგონებთ, ქართველ მეფის ვახტანგის (464-499) მეფობის დროს. ზოგიერთთა აზრით, ეს სავანე იმყოფებოდა შიგ ქალაქში, დავითის კოშკის მახლობლად (ქ. იაფას კარი), იმ გზის მარცხნით, რომელიც ამ კოშკიდან სიონის ეკლესიამდე მი-

---

*) პროკოპი, ბერძენი მემატიანე, დაიბადა პალესტინის ქ. კეისარიაში. ცხოვრობდა ქ.-შ. მე-IV საუკუნის პირველ ნახევარში. ერთხანს მჭერმეტყველების მასწვლებლად იყო კონსტანტინეპოლში. შემდეგ იმპერატორი იუსტინიანე I-ის სარდლის მდივნობა მიიღო და 562 წელს კონსტანტინეპოლის მართველის თანამდებობა მისცეს. გადაიცვალა 565 წ. მისი ნაწერები დამახასიათებელია კლასიკური ლიტერატურის ბიზანტიურ ლიტერატურად გადასვლის ხანისა. ამან დასწერა „ისტორია", 8 წიგნად, ანუ იუსტინიანეს ომების ამბები 553 წლამდის; „ძეგლები", იუსტინიანე იმპერატორის ნაშენთა აღწერილობა, რომელსაც ჩვენი ავტორი ხშირად იხსენიებს; „დაფარული ისტო-

რია“, 549-553 წლამდის, სადაც ჰკიცხავს იმავე იმპერატორს
და ბელიაზარს, რომელთაც თავის ძეგლებში ხშირად ზედ-
მეტად აქებდა. **შ. ვ.**

**) იუსტინიანე I-ლი დაიბადა 483 წელს ქ. თავრეზიუმში,
იმეფა 38 წელიწადი (527-565). კონსტანტინეპოლის იმპე-
რატორთა შორის იუსტინიანე ყველაზე მეტად სახელ-გან-
თქმულია. **შ. ვ.**

***) ჭანები ანუ ლაზები ქართველების მოდგმისა არიან.
თურქების დაპყრობის შემდეგ თითქმის ყველანი გამუსლიმანდენ.

****) Procope, De Ædifieiis, I. V. c. IX. — P. G. t. LXXVII,
col. 521.

დიოდა *). სხვათა სიტყვით კი, ეს სავანე უფრო ჩრდილოეთ-
აღმოსავლეთით იმყოფებოდა და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს
იყო წმიდა ივანე ღვთის-მეტყველის ძველი სავანე **), რომე-
ლიც დღეს ფრანცისკანების ***) წმიდა მაცხოვრის სავანედ
არის წოდებული. ჭანების სავანეს შესახებ კი უმრავლესობა
ფიქრობს, რომ ეს სავანე არის წმიდა ჯვრის სავანე, რომელ-
ზედაც შემდეგში გვექნება საუბარი.

არაბების დაპყრობამ თუმცა უნებლიედ შეაჩერა პალესტი-
ნისაკენ გადმოსახლების მოძრაობა, მაგრამ სავსებით მაინც ვერ
დაუკარგა ამის ცხოველი წადილი იმათ, ვინც მონაზონებრივი
ცხოვრებით იყვნენ გატაცებულნი და ვისაც მაცხოვრის საფლავთან
წმიდათ ცხოვრების გატარება სურდათ. სამწუხაროდ, ამ არეულ
ხანის საბუთები იშვიათად მოიპოვება და ისაც ძალიან მოკლე
შინაარსისა; სულ რაც ვიცით, შემდეგი წყაროდგან არის: „სი-
გელი, მოსახსენებელი სახლთა უფლისათა ანუ სავანეთა“ —
„Commemoratorium de easis Del vel monasterlis“ — გადმოგვცემს,
რომ 808 წელს ზეთის-ხილის მთის სავანეში ოთხი ქართველი
ბერი იყო, ხოლო გეთსამანიისაში ****)კი ერთი. დანამდვილე-
ბით არ ვიცით, ივერიელების სავანეს იერუსალიმში საერთო
განადგურება ერგო წილად, როგორც სხვა ბევრ სავანეს შე-
მოსეულ დამპყრობლების-მიერ, თუ არა.

---

*) J. Vailhé, Réperteire alphabétique des monastéres de Pa-

Lestine, Paris, 1900.

**) Chr. Papadopnles. H ιεçά Μονή τού Σταυού. Jérusa-
Lem, 1905, p. 18.

***) ფრანცისკანები, კათოლიკე ბერები არიან; ამათი ჯგუფი ცალკე საზოგადოებათ გამოეყო იმ დიდ საზოგადოებას, რომელიც 1208 წელში წმიდა ფრანცისკემ დააარსა შუა იტალიის ქ. ასიზიოს ახლოს „პორციუნკულად“ წოდებულ ადგილში. **შ. ვ.**

****) Itinera Hierosolimitana, Genéve, 1880, 1 (2) p 302.

ამ ცნობის გარდა, დასავლეთის მემატიანენი აღარ იხსენიებენ ქართველებს მე-X საუკუნემდე. დაახლოვებით 1050 წელს კი საქართველოს მეფე ბაგრატ კურატპალატს მიუღია *) ბერძნის იმპერატორისაგან თხემის ნახევარი გოლგოთაზე, სადაც მას განუწესებია ერთი ქართველი ეპისკოპოსი **). ამავე საუკუნის უკანასკნელ ხანებში იმ ადგილს, სადაც წმიდა იაკობ დიდი აწამეს, ქართველებმა გააშენეს სხვა ახალი სავანე, რომელიც შემდეგში სომხებმა დაისაკუთრეს ***).

ჩვენ არ ვიცით, განდევნილ იქმნენ ქართველები გოლგოთიდგან ჯვაროსანთა მოსვლამდე თუ დასავლეთის რაინდებმა სთხოვეს მათ თავის ნებით წასულიყვნენ; მხოლოდ ფაქტია, რომ ჯვაროსნობის დროის მემატიანეთა შორის არც ერთს არ აქვს აღნიშნული ქართველების ყოფნა გოლგოთაზე.

მე-XII საუკუნის დამლევს ქრისტიანებმა დაჰკარგეს პალესტინა. ამ მოვლენამ ქართველების ლტოლვილება იერუსალიმისაკენ, რომელშიც ჯვაროსნობის დასაწყისიდგანვე იყო დაწყებული, არა თუ შეაჩერა, პირ-იქით უფრო გააადვილა და გააფართოვა; ამიტომაც ეს დრო არის სწორედ ის ხანა, როდესაც მათ დაიწყეს იქ გაბატონება.

ყველასაგან ცნობილია, რომ საუკეთესო ნაწილი ეგვიპტის სულთნების ჯარისა კავკასიიდგან მოყვანილ და ნაყიდი ტყვეები-

---

*) Palestine exploration Fund. Quaterly Statement. octobre 1911, p.185.

**) ბაგრატ მეფის-მიერ ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნა

გვაიძულებს ვიგულისხმოთ, რომ ამ დროებში, როგორც ქართველი სამღვდელოება, ისე ბერებიც და მრევლიც ბლომათ უნდა ყოფილიყო პალესტინაში, თუმცა მემატიანენი მათ სრულიად არ იხსენიებენ. **შ. ვ.**

***) Tchamitch, Histoire de l'Arménie. t. III. p. 666.

საგან შემდგარი მამელუკები *) იყვნენ და იმ დროს მთელ ამ ქვეყნებში ესენი ბატონობდენ. და რადგან ქართველებს, როგორც დასავლეთის მემატიანენი გადმოგვცემენ, კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ მათთან, ამიტომ მათ მე-XIIII და მე-XIV საუკუნეებში დიდათ საპატიო ადგილი ეჭირათ პალესტინაში; მაშინ, როდესაც სხვა ქრისტიანებს დიდათ უჭირდათ იერუსა-

---

*) მამელუკი, არაბული სიტყვაა და ნიშნავს ტყვეს. ეს სახელ-წოდება ჰქონდათ თურქებისა და განსაკუთრებით კავკასიის მოდგმის ხალხებიდან აყვანილ ტყვეებს, რომელთაგან სალადინის შემდეგ ზოგიერთმა სულთნებმა საკუთარი გვარდია შეჰქმნეს. მამელუკებში ზოგიერთებმა შემდეგში უმაღლესი ადგილიც მიიღეს მთავრობაში, და ბოლოს ძალა ჩაიგდეს ხელში და გაბატონდენ მთელ ეგვიპტეზე. მამელუკების დასაწყისი ჯენჯისხანის შემოსევის დროს ეკუთვნის. მალეკ-სალეჰ სულთანმა სულ თავდაპირველად მონგოლებისაგან იყიდა ტყვე თურქები, რომლებიც თავის სასახლეში მოათავსა და მისი დაცვა ჩააბარა. საუცხოვოთ გასწვრთნა იგინი სამხედრო მკაცრი დისციპლინის წყალობით და შემდეგ ეგვიპტის ყველა უმთავრეს ქალაქების მცველად დაარიგა. საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მე-IX დამმარცხებელი სულთანი მალეკ-მოადჰამი მოჰკლა მამელუქების გენერალმა იზედინ-მოეზ-აიბეკმა და მოკლულის დედა ხაჯერედორი სრულუფლებიან დედოფლად გამოაცხადა. შემდეგ ცოლად შეირთო იგი და 1254-ში მამელუკების პირველ დინასტიის პირველ სულთანად გამოაცხადა თავის თავი. ორი დინასტია იყო მამელუკ სულთნებისა: „ბაჰარიტები“ ანუ მეზღვაურნი, 1254-1382 წ. წ., ეკუთვნოდენ იმ მამელუკებს, რომელნიც ეგვიპტის ზღვის ნაპირის უმთავრეს ქალაქებში ცხოვრობდენ; უმრავლესობა, „ბორჯიტები“ 1382-1517 წ. წ., ეკუთვნოდენ იმ მამელუკებს, რომელნიც ქართველი ტომის

მოდგმისანი იყვნენ და ცხოვრობდენ უმთავრეს ციხე-სიმაგრეებ-
ში (ბოროჯი), როგორც მცველნი. როდესაც მთელი ძალა-
უფლება ამათ ხელში იყო, ეგვიპტე ძლიერ სახელმწიფოდ
ითვლებოდა. მათი სულთნები, როგორც მემატიანენი გადმო-
გვცემენ, ყოველთვის კარგად ეპყრობოდენ იერუსალიმის და
მთელ პალესტინის ქართველობას, რადგან კარგად იცოდნენ

ლიმში მისვლა და იქაც მათი ყოფნა ხშირად საშიში იყო,
ქართველებისათვის კარი ღია იყო და ისინი სრულიად თავისუ-
ფლად გრძნობდენ თავს.

იაკობ ვიტრელი (Jaeques de Vitry) მოგვითხრობს, რომ
1240 წლეებში, ქართველები წმიდა ქალაქში დიდის ზეიმით,
გაშლილი დროშებით შედიოდენ და არ იხდიდენ იმ გადასა-

რომ ქართველების ჩამომავალნი იყვნენ. მამელუკი სულთ-
ნები საშიშარნი იყვნენ, როგორც გამოჩენილნი მეომარნი და
როგორც გამოქნილი დიპლომატები. განსაკუთრებით გაითქვეს
სახელი სულთან ბიბარსმა და კელაუნმა და ყველაზე მეტად
ნასერ-მოხამედ-ბენ-კელაუნმა. 1517 წელს, ოსმალთა სულთანმა
სელიმმა ბოლო მოუღო მათ მეფობას; დაამარცხა და დაარჩო
უკანასკნელი მამელუკი სულთანი ტუმამ-ბეი და ეგვიპტე ოს-
მალეთის საკუთრებად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ეგვიპ-
ტეს მაინც მამელუკების საბჭო მართავდა, რომელიც 23 ბეჰი-
საგან შესდგებოდა. ოსმალეთის სულთანს ჰყავდა მოადგილე
ფაშა, რომელიც ბრძანებებს აძლევდა და ხარკს იღებდა. ბეჰებს
შეეძლოთ მორჩილობაზე უარი განეცხადებიათ და ფაშაც გა-
მოეცვალათ. ასე, 1766 წელს, ალი-ბეგმა ხარკზე უარი სთქვა,
განსდევნა ფაშა, დაამარცხა ოსმალეთის ჯარი და ეგვიპტის
სულთნად გამოაცხადა თავის-თავი. ღალატმა მალე ბოლო მოუ-
ღო მის აჯანყებას, მაგრამ თურქთა გავლენა ძალზე შერყეული
დასტოვა. საქმით მამელუკები დამოუკიდებელნი იყვნენ და
უფროსად ჰყავდათ მურად-ბეჰი და იბრაჰიმ-ბეჰი, როდესაც
1798-ში ბონაპარტი შეიჭრა ეგვიპტეში. ფრანგების გამარჯვე-
ბებმა გაანახევრეს მამელუკები და მოსპეს მათი გავლენა.
ფრანგების წასვლის შემდეგ მათ ვეღარ შესძლეს თავიანთი სი-
ძლიერის აღდგენა, ვინაიდან მთაში ძლიერი განხეთქილება გა-

მეფდა. 1808 წელს მამელუკებმა იარაღი აიღეს და შეთქმულობა მოახდინეს მეჰმედ-ალი ფაშის მოსასპობად სწორედ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ვაჰაბიტებთან საომრად ემზადებოდა. სულთანის მოადგილემ შეიტყო რა ეს, თავს ზარი დაეცა და საპირდაპიროდ უკიდურესი ზომები მიიღო; მან მოიწვია მამელუკები 1811 წ. 1 მარტს კაიროს სიმაგრეში, სადაც მის შვილს ტუსუნ ფაშას ვაჰაბიტებთან საომრად ცერემონიით

ხადს, რომელიც სავალდებულო იყო სხვა ყველა ქრისტიან მლოცველებისათვისო *).

პოლიტიკურმა ცვლილებებმა ბევრი არ ავნო მათ; ასე რომ, სრულიად არ შეწუხდენ, როდესაც 1299 წელს მონგოლებმა ეგვიპტის სულთანი დაამარცხეს. მონგოლთა შემოსეულ ჯარში, სხვა ქრისტიანებთან ერთად, ქართველ მეომრების დიდი რიცხვიც იყო, რომელთაც — ვაჟკაცობისა და მამაცობის დასაჯილდოებლად — მონგოლებმა დაუთმეს იერუსალიმი, სადაც ამის გამო 1300 წელში ქართველები გაბატონდენ. ამ მფლობელობამ არ გასტანა წელიწადზე მეტი, რადგანაც ეგვიპტელებმა ხელმეორედ შემოუტიეს მონგოლებს და თავიანთი დაკარგული ადგილები უკანვე დაიბრუნეს.

მამელუკებს ძალიან დიდი შურისძიება არ ჩაუდენიათ ქართველებისადმი. ეს ცხადია, ვინაიდგან 1308 წელში, ბერძნის იმპერატორის ანდრონიკე მე-II დახმარებით, ქართველებმა გოლგოთის სავანე თავიანთ კერძო საკუთრებად დაამტკიცებინეს ეგვიპტის მამელუკ სულთანსა, რაიც ამ დროის ადგილობრივი მართველთა განცხადებებითა მტკიცდება **).

მე-XIII და მე-XIV საუკუნოებში ძალზე გაძლიერებული ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა იჭერს ადგილს ბერძნის საზოგადოებისას, რომელიც დევნილი იყო მამელუკებისაგან.

სარდლობა უნდა მიეღო. როცა მოტყუებული მამელუკთა მეთაურები შევიდენ სიმაგრეში, მეჰმედ-ალი-ფაშამ ციხის კარები ჩააკეტინა და ჩასაფრებულ ჯარს მთლად ამოაწყვეტინა იგინი. ამას მოჰყვა ერთ და იმავე დროს თითქმის მთელი დანარჩენი მამელუკების ამოხოცვა სხვა და სხვა მაზრებში. **შ. ვ.**

*) Texte Pilgrim's Soeiety, t. XI, p. 84.

**) Papadopoulos-Keramens, 'Ανάλεκτα 'Ιεçοσλυμιτκής Σταχυολογίας, t. IV, p. 441.

თვით ქალაქ იერუსალიმის ფარგლებში არსებულ სავანეებსაც კი, (რომელნიც იყვნენ წმიდა ნიკოლოზისა, წმიდა გიორგისა, წმიდა იაკობისა, წმიდა იოვანე ღვთის-მეტყველისა, წმიდათა თეოდორეთა, წმიდა დიმიტრისა, წმიდა ვასილისა, წმიდა კატერინესი და წმიდა თეკლესი) ერთი მეორის შემდეგ იჭერენ ქართველები.

დაახლოვებით ამავე ხანაში, მათ კიდევ ეჭირათ სამლოცველოები წმიდა ანნასი და წმიდათა ანგელოსთა სავანეებისა; ეს ორივე დაწესებულება დღეს სომხების ხელშია. ქართველებს კიდევ სხვა მამულებიც ჰქონდათ, სხვათა შორის ერთი სავანე ზეთისხილის მთაზე; მხოლოდ ყველა ამათ შესახებ დღემდის საკმარისი ცნობები არ არის აღმოჩენილი. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ბერძნებს და დანარჩენ ქრისტიანებს ქართველებისთვის უნდა ეთხოვნათ, რომ ქრისტეს წმიდა საფლავზე ლოცვის ნება მიეღოთ. ლუდოლფი, რომელიც პალესტინაში ცხოვრობდა 1336-1341 წლამდე, აღნიშნავს, რომ ქართველებს მართლაც ჰქონდათ წმიდა საფლავის გასაღები *). აქ, ჩვენის აზრით, დანამდვილებით ლაპარაკია ნიშის გასაღებზე, ვინაიდგან პოჯიბონსი ამტკიცებს, რომ 1345-ში სარაცინები ინახავდენ ტაძრის გასაღებს **).

ას ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ქართველები მშვიდობიანად ფლობდენ გოლგოთის თხემის მთელ სავანე-სამლოცველოს; მხოლოდ მე-XV საუკუნის დასასრულს ლათინებმა ჩამოართვეს მათ ამ დაწესებულების ნახევარი. 1475 წელში დასავლეთის სამღვდელოებას სურდა დაესაკუთრებინა სრულად ეს ადგილი, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დარჩა. ადგილობრივ

---

*) Archives de I'Orient latin, t. II, II-e partie, p. 354.

**) აქვე.

სასამართლოს განაჩენით, 1492 წლის თარიღით, ქართველებს რჩებოდათ გოლგოთის თხემის ჩრდილოეთი მხარე და ფრანგებს სამხრეთისა. მაშინდელი გამწვავებული მდგომარეობა დღესაც გრძელდება იმ განსხვავებით, რომ ქართველების ადგილას ბერძნები არიან. სასამართლოს დადგენილება ორივე მოდავე მხარეთა წინასწარი შეთანხმებით მოხდა: ლათინებს მიეცათ საშუალება თავისუფლად ელოცათ გოლგოთაზე და ქართველებმა დაიმტკიცეს ნაწილი თვით წმიდა საფლავის საკუთარ ეკლესიისა. მართლაც ფრანცისკანებმა სამაგიეროთ დაუთმეს მათ ერთი მესამედი ტალანისა (გალერია), რომელიც საკუთრად ჰქონდათ ამ ტაძარში. გოლგოთის მთის ძირს მდებარე ადამის სამლოცველოც ქართველებსავე დარჩათ საკუთრებათ. ამ დავაზე 2000 დინარი *) დახარჯულა **).

მოკავშირე ეგვიპტის მამელუქების დამარცხებამ და 1516 წელში ოსმალთაგან პალესტინის დაპყრობამ ქართველების გავლენა იერუსალიმში ძალიან შეარყია. მიუხედავად ამისა, ესენი ერთი საუკუნის განმავლობაში კიდევ აქ დარჩნენ, მაგრამ მაინც ამ დროიდან იწყება მათი დაცემა, რომელიც დიდი სისწრაფით მატულობს. სამაგიეროდ იზრდება ბერძნების გავლენა, რომელიც თან და თანობით სპობს ქართველების გავლენას და ბოლოს მის ადგილს სავსებით იკავებს.

ქართველების სავანეები უცხო ტომის ბერებით აივსო, რადგან საქართველოს აღარ შეეძლო საკმარისი ხალხის მი-

---

*) დინარი ძველი რომაული ფულია, რომელიც უდრის 12 ფრანკს ანუ დაახლოებით 5 მანეთს. **შ. ვ.**

**) Th. Aristrelès Κωνσταντίνου πατριάρχου Κωνσταν-Τινουπόλεως βιογραφία καί συγγραφαί αί ἐλάσσονες. Constan-Tinople, 1866, p. 284.

ცემა. მე-XIV საუკუნის დასაწყისიდან სხვათა შორის წმიდა იაკობის სავანეში უკვე ვხვდებით კოპტებს, სომხებს და ბერ-

ძნებს *). ამ სავანეებს შორის მალე რამდენიმე სავსებით უვარ-
დებათ ხელში მოწინააღმდეგე საზოგადოებებს; ხოლო მესაკუ-
თრე ქართველი ბერები კი სამაგიეროდ ავალებენ მათ თავიანთი
ვალების გადახდას. ამ პირობით 1536 წელში ქართველებმა
ფრანცისკანებს მიაქირავეს წმიდა ივანე ღვთის-მეტყველის სა-
ვანე, რომელსაც დღეს წმიდა მაცხოვრის სავანეს ეძახიან. ამას-
ვე ხელმეორეთ აძლევენ 1559-ში ორი წლის ვადით, ხოლო
1561-ში კი ორმოცი წლით; ამ დროსვე 80 ოტომანურ ფლო-
რინად აძლევენ ზემოხსენებულ ბერებს სავანის სიახლოვეს მდე-
ბარე ბაღსაც **). იმავე წლებში და იმავე გზით გადავიდა წმი-
და იაკობის სავანე სომხების ხელში ***).

ქართველების ამნაირი დაქვეითება და უძრავი ქონების
უცხოელებზე გადაცემა უსახსრობამ გამოიწვია. ეჭვს გარეშეა
მათი ამ ზომის სიღარიბე შედეგი იყო იმ უზომო მფლანგვე-
ლობისა და იმ ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც სრულიად არ
შეეგუებოდა მონაზონებრივ ჩვეულებებსა. მიუხედავად ამისა,
ესენი ამ დროს მაინც ღებულობენ საქართველოდან თვალ-
საჩინო შემოწირულობას. ასე მაგ. მეფე ლივონ II დადიანმა
(1520-1574) გააგზავნა იერუსალიმში წინამძღვარი (იღუმენი)
იოაკიმე ჩოლაყაშვილი, რომელმაც წაიღო ძვირფასი ვერცხლის
საჩუქრები გოლგოთის თხემის საკურთხეველისათვის ****).

---

*) Tobler, Topographie von Jerusalem, t. II, p. 740.

**) Paradopoulos-Kerameus, op. eit.. t. IV, p. 444-445.

***) Th. Aristoclès, op. cit.. p. 275.

****) Tsagarelli. Souvenirs de l'antiquité géorgienne en Terre Sainte et au mont Sinai (en russe). Saint-Péterbourg, 1888, p. 61, 62, 156.

ამ მოულოდნელმა დახმარებამ ქართველებს საშუალება
მისცა ღირსეულად შეეკეთებინათ ხსენებული საკურთხეველი
და აღარ დასჭირდათ სომხებისა და ლათინების დახმარება, რო-
მელიც პირუთვნელი არას დროს არ იყო *).

რამდენიმე წლის წინეთ, დაახლოვებით 1510-ში, ქართვე-

ლებმა ძალით დაიპყრეს ის საკურთხეველი, რომელიც 1492 წ. შეთანხმების შემდეგ ფრანცისკანებს ჰქონდათ გოლგოთის თხემზე. იერიში იმ ზომამდე მკაცრი იყო, რომ მთლად შემუსრეს არა მარტო ლამპები და ყოველივე, რაც მოძრავი რამ მოიპოებოდა ეკლესიაში, არამედ თვით საკურთხეველიც დაანგრიეს და ფრანცისკანები სალოცავადაც კი სიახლოვეს აღარ გაიკარეს. ამ დროს წმიდა საფლავის სავანის უფროსი ფრა (ძმა) — სურიანო იყო; მან სრული ერთი წელიწადი დავას მოანდომა კათოლიკების უფლებათა დაცვა-აღდგენისათვის ადგილობრივ მართველობის წინაშე, რომლის მოხელეებს ამისათვის ხშირათ დიდძალ საჩუქრებს აძლევდა. ფრა-სურიანომ ქრთამის წყალობით ადამის სახელწოდების პატარა ეკლესიაც ჩამოართვა ქართველებს, მაგრამ ეს კი დიდხანს ვერ შეინარჩუნა **).

დავა ქართველებსა და ფრანცისკანებს შორის არა ერთხელ განმეორდა. 1538-1540 წლებში კათოლიკები ედავებიან ქართველ ბერებს გოლგოთის თხემზე არსებულ საკუთარი საკურთხეველის მფლობელობას, რაიც მოსჩანს ამ დროის ადგილობრივი სასამართლოს მრავალ განაჩენებიდან ***). ხოლო 1568 წელში თვით ქართველები იწყებენ საჩივარს თურქის

*) Brosset, Additions et éclaircissements à éclaireissements à l'histoire de la Géorgie. Saint-Pétersbourg, 1851, p. 198.

**) Fra Suriano, il traltato di Terra Santa e dell'Oriente, Édition Golubovich. Milan, 1900, p. 34.

***) Papadopulos-Kerameus, cit.. t. IV, p. 447.

მთავრობის წინაშე, რდგან კათოლიკე ბერებს საჩუქრების და ცრუ მოწმობების საშუალებით დაესაკუთრებიათ ეკლესია იმ სავანისა, რომელიც მათგან დაქირავებული ჰქონდათ; სულთანის ბრძანებით ფრანცისკანებმა ეკლესია ქართველებს დაუბრუნეს *). 1576-ში კიდევ ახალ საჩივარს ვხედავთ, რადგან წმიდა იოვანე ღვთის-მეტყველის სახელობის ქართველთა სავანის ქირას ფრანცისკანები არ იხდიან. ამათ ეს დავაც წააგეს და იძულებული გახდენ მოთხოვნილი თანხა გადაეხადათ ქართველებისათვის **).

ყველა ამ კამათის და დავის განმავლობაში ქართველები უფრო და უფრო სუსტდებიან და მათი რიცხვი მცირდება, ხოლო მათ მიერ დატოვებულ ქონების შესაძენად კი მოწინააღმდეგენი ერთი-მეორეს ედავებიან. ამ დროს მაინც ქართველებიდან სულ მცირე რიცხვი-ღა იყო დარჩენილი წმიდა ქალაქში, სადაც 1591-ში უკვე გერმანელი ს. შვაიგერი მხოლოდ ხუთ ქართველს შეხვდა ***). ქართველთა ქონების მითვისების საერთო ცდაში იერუსალიმის ბერძენმა პატრიარხმა სოფრონმა (1579-1608) ყველაზე მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა. მან თავის ცდას საფუძვლად დაუდვა წინაპრების უფლებათა აღდგენა და მართლმადიდებლობის განსაცდელისაგან დახსნა. მართლაც ამ ცრუ მიზეზებმა თავისი ნაყოფი გამოიღეს: სულთან- ახმედ I-ის მიერ გაცემულ ბრძანებით გოლგოთა ბერძნების საკუთრება გახდა. ამის გარდა მან სხვა უფრო მკვეთრი გარემოებებითა და საშვალებებითაც შესამჩნევად ისარგებლა. ვალით ავსებულ ქართველებს პატრიარხმა ფული ასესხა, ზოგიერთების

*) Th. Aristoclès, op cit, p. 250.

**) იქვე.

***) Zinkeisen, Geschichte des osmanischen Reiches in Europa. Gotha, 1885, t. III, p. 818.

თქმით 14000 მარჩილი, ხოლო სხვათა სიტყვით კი 7000 სეკაჰ *), და ამ თანხის სამაგიეროთ გოლგოთის შენობა, როგორც წინდი, თავის სახმარებლად მიიღო **). ეს ფული ქართველებმა ვეღარ დაუბრუნეს და იძულებული გახდენ მიეტოვებინათ ეს სამლოცველოც, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში მათს უფლებაში იყო. 1644-1647 წლამდის პალესტინის მოგზაური სურიუსი ვეღარ ხედავს ქართველებს გოლგოთის სავანეში ***). ესენი უკვე გადაბარგებული იყვნენ თავიანთ წმიდა-ჯვრის სავანეში, სადაც იცხოვრეს მე-XVIII საუკუნის დამლევამდე, ხოლო ამ საუკუნეში აქაც სრულიად მოისპენ ****).

*) სეკაჰ არაბული ოქროს ფული იყო, რომლის ღირებულება ოსმალეთში უდრიდა 8 ფრანკს და 73%. ხოლო იტალიის რესპუბლიკებში კი მეტი ღირებულება ჰქონდა. **შ. ვ.**

**) Aristoclès, op. cit., p. 284.

***) Le Pieux Pèlerin ou Voyage de Jérusalem, par le R. P. Bernardin Surius, prèsident du Saint-Sépulere et commissaire de La Terre Sainte (1644-1646). A. Bruxelles. 1666, p. 161.

****) წმიდა კონსტანტინეს სავანის ერთი კედლის შიგნითა კუთხეზე ბ-ნ შიკმა (Schick) 1879 წელში ქართულად წარწერილი ერთი ქვა აღმოაჩინა. ეს წარწერა, ცაგარელისგან წაკითხული 1881-ში, შემდეგი შინაარსისაა: „ქრისტე, წმიდა ნიკოლოზ, იყავნ მეოხე ქრისტეს წინაშე კახეთის უფლისწულისა ელისაბედისა, ძველად ელენესი“. ეს ელენე, ეჭვი არ არის, მეფე დავით მე-II (1604) ასული უნდა იყოს, რომელმაც 1615 წელს სპარსეთში იმგზავრა, 1625-ს იერუსალიმში მოვიდა და წმიდა ნიკოლოზის სავანეში მოლოზნად აღეკვეცა ელისაბედის ანუ სხვა წარწერებით ანასტასიას სახელწოდებით. Cf. Palestine Exploration Eund Qnaterly Statement. octobre 1911, p. 187. კიდევ შენიშნავენ, რომ ამ ელენეზე ადრე მრავალი უფლისწულები და თავადიშვილები იერუსალიმში მისულან და მოლოზნად აღკვეცილან.

1660 წლებში ქართველებს ისეთი ცუდი სახელი ჰქონდათ და მათი გაჭირვებული მდგომარეობა იმ ზომამდე იყო მისული, რომ ყველანი ლაპარაკობდენ და ფიქრობდენ მათი ქონების დასაკუთრებაზე. ამის გარდა ვერც ერთი ქართველი მლოცველი, ვერც ბერი, ვერც ერის კაცი ისე ვერ მივიდოდა იერუსალიმში, რომ არ დაეკავებინათ და არ დაემწყვდიათ. ამავე დროს მკაცრი ქიშპობა წარმოებდა მათი ქონების დასასაკუთრებლათ. სომხები, ლათინები და ბერძნები ერთი-მეორეს ეცილებოდენ ქართველ ბერთა ვალების გადახდაში, რათა მათი დაწინდული სავანეები დაესაკუთრებიათ. სომხები, რომელთაც უკვე ხელში ჩაეგდოთ წმიდა იაკობის სავანე, წმიდა ჯვრის სავანეს ეტანებოდენ, ხოლო ფრანცისკანები, რომლებიც უკვე გაბატონებული იყენენ წმიდა ივანე ღვთის-მეტყველის სავანეში, ცდილობდენ, წმიდა ნიკოლოზის სავანეც როგორმე ხელში

ჩაეგდოთ. რაც შეეხება ბერძნებს, ესენი მხოლოდ ერთს ფიქ-
რობდენ: შეეძინათ ქართველების ყველა ქონება. ქიშპობამ
დიდ ხანს გასტანა და მკაცრი ხასიათიც მიიღო. საბოლოოდ
ბერძნის პატრიარხმა დოროთემ (1669-1707) დაამარცხა ყველა
მოწინააღმდეგე საზოგადოებანი.

თუთხმეტი წლის განმავლობაში ამ პატრიარხმა აღძრა
მართლმადიდებელი ქვეყნები და განსაკუთრებით კავკასიის
ხალხები, რომლებიც დაარწმუნა იმაში, რომ წმიდა ადგილებს
საბოლოოდ დაკარგვა მოელოდა სომხებისა და ლათინების
ხელში. ამან ხელი შეუწყო იმაში, რომ შეეკრიბა საკმარისი თანხა,
რათა ხსენებული სავანეები დაებრუნებია უკანვე ყველა იმათ-
გან, ვისაც ქართველებისთვის ფული მიეცათ და სესხში და-
წინდულ სავანეებს ეპატრონებოდენ. ანგარიშების გასწორება
და გასტუმრება დაიწყო 1685 წელში და გასტანა არა ნაკლებ

თოთხმეტი წელიწადისა. ამ საქმის წარმოება უდიდეს სიძნელეს
წარმოადგენდა, რადგან ანგარიშები ყველა არეული და საში-
ნელი წყვდიადით გარემოცული იყო. მართლაც ამ ადგილებში
ძველადგანვე საპატიო ჩვეულებათ იყო მიღებული გამსესხებ-
ლების შორის ცრუ ვექსილების და ცრუ მოწმეების ხმარება.
ყველა ამ სიძნელეთა გამო საჭირო გახდა 9000 ფლორინის
გადახდა მარტო იმისთვის, რომ მოვალეებს სავანეების და უძ-
რავი მამულების წინდზე ხელი აეღოთ *).

II. დასავლეთის მლოცველები და ქართველები.

დასავლეთის მლოცველთაგან, რომელთაც წმიდა ქვეყანა
მიმოიხილეს, ბევრმა ფრიად საყურადღებო აღწერილობა დას-
ტოვა, მაგრამ ისინი ერთიმეორეს სრულიად არ ეთანხმებიან,
როდესაც იერუსალიმში ნახულ ქართველებზე ლაპარაკობენ.
აქ აღვნიშნავთ, რომ მე-XII საუკუნიდან მე-XV-მდე, ყველა ეს

მემატიანენი პალესტინის ქართველობას საკმაო თანაგრძნობით იხსენიებენ, ამ უკანასკნელ საუკუნის შემდეგ კი თითქმის ყველანი მტრულად ეკიდებიან. ეს უეჭველია გამოწვეული იყო იმ მუდმივი დავითა და ქიშპობით, რომელიც ქართველებსა და ლათინებს შორის არსებობდა იმ დროში სამლოცველოების გამო.

მე-XII თუ მე-XIII საუკუნის ერთი სახელ-უცნობი მწერალი, მე-XVI საუკუნის გრეფინ აფაგართი (Greffin Affaghart) და სხვანი გადმოგვცემენ, რომ ქართველი ბერები ბერძნებსავით

*) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 45 sq.

გრძელ თმას ატარებდენ; მაგრამ, როგორც სჩანს, სხვა მწერალნი, რომელნიც საკითხს უფრო გაცნობილნი იყვნენ — სხვათა შორის: ალბერიკ ტრუა-ფონთენელი 1234 წ., ბართლომე სალინაკელი 1522 წ., მეტადრე ფრა სურიანი, რომელიც 1490-1512 წლებში ორგზის იყო ფრანცისკანების წმიდა საფლავის სავანის უფროსად, და მღ. ბუშე, რომელმაც მე-XVII საუკუნის დასაწყისში დიდხანს იცხოვრა იერუსალიმში, — ერთხმად მოწმობენ, რომ ქართველები ატარებდენ კოჭიკურსა *), მღვდელ-მონაზონები — რგვალსა და ბერები — ოთხკუთხსა.

ეს გარეგნული შეხედულობით წინააღმდეგი მემატიანეთა ცნობები შეუთანხმებელი არ არის, ვინაიდან თიტმარი ('I'hietmar), რომელმაც 1217 წელს მოიარა სალოცავად წმიდა ადგილები, ამბობს, რომ ქართველებს გრძელი თმა და კოჭიკური ჰქონდათო **).

მე-XIII საუკუნეშივე მლოცველების ყურადღება მიიპყრო ქართულმა ქუდებმა ***), რომელთაც ერთი „ულნის" ****) — სიგრძე ჰქონდათ.

ამ ხანის შემდეგ, განსაკუთრებულ უპირატესობის გამო, ეგვიპტის სულთნებმა რომ მიანიჭეს ქართველებს, რომელიც

*) კოჭიკური (tousure) ჰქვია თავზე რგვლათ ამოკრეჭილ

ადგილს ანუ თვით თავის ირგვლივ გვირგვინივით შემოკრეჭილსა. **შ. ვ.**

**) Laurent. Peregrinatores medii aevi quatuor. Hambourg. 1857, p. 51, A…. Barbam nutriunt et coman. Omnes habent Coronas, tam laici quam clerici: laici quadratas, elerici rotundas.

***) Laurent, Ibid… ferentes in capitibus pillea unius Ulnae lunga.

****) ულნა, ლათინური ზომაა და უდრის დაახლოვებით 3/4 არშინისა. **შ. ვ.**

1516 წლის დაპყრობის შემდეგ ოსმალთა სულთნებმაც იცნეს ქართველები, როგორც კაცები, ისე ქალები. იერუსალიმში შეიარაღებულნი შედიოდენ თავიანთი საკუთარი დროშებით და არც იხდიდენ იმ ხარკს, რომელსაც მუსულმანები იღებდენ სხვა ტომის მლოცველებისგან.

დასავლეთის ყველა მწერალნი ერთხმად ამტკიცებენ ქართველების იშვიათ რაინდობას, რომლის გამო მათ დიდი სამსახური გაუწიეს ქრისტიანობას. მაგრამ როდესაც იერუსალიმში მათ მიერ ნახულ მღვდლების თუ ბერების პირად ცხოვრებაზე ლაპარაკობენ, უნდა გამოვტყდეთ, რომ მათი მოწმობა, (რომელიც მე-XV საუკუნიდანვე ერთსა და იმავეს იმეორებს), მაინც და მაინც სასიქადულო არ არის. მხოლოდ ბურხარდი სიონისმთელი (Burchard du Mont Sion) 1238 წელს სრულიად გულწრფელად სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ნესტორიანები, ქართველები და სხვა აღმოსავლეთელები — რომელნიც მის დროს იერუსალიმში ცხოვრობდენ — „არიან კეთილნი და მარტივნი, იცავენ უბიწოებას და მარხვას, დაბიურ ტანისამოსს იცმენ და ისეთ სამაგალითო ცხოვრებას ატარებენ, რომ მზგავსი არსად მინახავს რომის ეკლესიის ბერებშიო“ *). თუ ეს კეთილი მლოცველი გარეგნული შეხედულობით არ მოტყუვდა, მაინც უნდა გამოვტყდეთ, რომ ქართველებმა ძალიან მალე დაჰკარგეს თავიანთი კეთილი და სათნოიანი ცხოვრება, ვინაიდგან შემდეგ საუკუნოების ყველა მწერლები პირ-იქით მოწმობენ, რომ ქართველები დიდის განცხრომით ცხოვრობდენ და

მათმა ლოთობამ გაანადგურა იგინი. მოვიყვანთ აქ მხოლოდ ორს ამონაწერს. ფრა სურიანო, რომელმაც ოც წელიწადზე

*) Barchard, Descriptio Terroe. Magdebourg, 1578, I, c II.

მეტი დაჰყო იერუსალიმში და რომელსაც დრო და საშვალება ჰქონდა ქართველებს გასცნობოდა, ამ სიტყვებით იხსენიებს მათ: „ქართველები ძალზე ბოროტი მწვალებლები არიან, მზგავსნი ბერძნებისა, რომელთაც უკუღმართობით არ ჩამოუვარდებიან. მთებში ცხოვრობენ. ამათი ქვეყანა ტრაპიზუნთან ახლოა, შავი ზღვის ნაპირას. ლამაზი ტომია, მაგრამ ამპარტავანი. ფილოსოფოსი ამბობს, რომ მთებში მცხოვრებნი ჟინიანი, ცუდი ქცევის და მოჩხუბარნი არიანო... იერუსალიმში მათ სამი მონასტერი აქვთ, სადაც ცხოვრობენ და ლოცულობენ: ეკლესია წმიდა-საფლავისა, წმიდა-ჯვრისა და წმიდათა-ანგელოზთა. დიდ სიღარიბეში ცხოვრობენ და ღვინის დიდი მსმელები არიან. მდაბიო და ველური გვარისანი არიან. ესენი ბერძნებთან ერთად ჩვენი უმთავრესი და ძლიერი მტრებია და შეუწყვეტელი შფოთი და კამათი გვაქვს მათთან“ *).

მე-XIII საუკუნის დასაწყისში მ. ბუშე **) ასე სწერს: „ქართველები ცოტათი უფრო ულმობელნი, უფრო ურცხვნი, უფრო თავხედნი და უფრო ლოთნი არიან, ვიდრე ბერძნები ***).

*) Fra Suriano, il trattato di Terra Santa e dell’Oriente, ėdition Golubovich. Milan, 1900, p. 74.

**) Le bouquet saerė composė des Roses du Calvaire, des lys De Bethlėem. Des jacinthes d’Olivet et de plusiears autres et belles Pensėes de Terre Saiate par le R. P. Boucher, Mineur Observan-Tin. Ronen. chez la vente de Thomas Darė, rue aux Juifs, prės Le Palais, MDCXXIII.

***) საერთოთ აქ შევნიშნავთ, რომ ფრა სურიანო და მღ. ბუშე თუ ასე მკაცრად იხსენიებენ ქართველებს, ეს ადვილი მისახვედრია, რადგან მათ და საერთოდ დასავლეთის იმ დროის მისიონერებს დიდი კამათი და ბრძოლა ჰქონდათ ქართველებ-

თან სხვა და და სხვა ეკლესიების და სავანეების თაობაზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამათი გადმოცემა მთლად ტყვილი არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ძალზედ მიკერძოებით

ამისთვისაა, რომ დღეს ცოტანიღა არიან ისეთნი, რომელნიც თავიანთ თავს ქართველებათ აღიარებენ, ვინაიდგან აღმოსავლეთის ამ ადგილებში ერთგვარათ მიღებულია სიტყვა ქართველი და თავხედი ანუ ლოთი“.

და გაზვიადებით არის დაწერილი. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ თუ ქართველები წინაპრების გზა-კვალს არ დაშორებოდენ, დაეცვათ მათი მკაცრი ზნე-ჩვეულება, ეტარებიათ მათსავით კეთილი და ღვთისნიერი ცხოვრება, და მათსავით დიდი უნარი გამოეჩინათ, მაშინ ისინი არ დაჰკარგავდენ წარსულ სიძლიერეს და საუკუნოების განმავლობაში შეძენილ კულტურულ დაწესებულებებსა და სიმდიდრეს. მაგრამ ამით მაინც არ მტკიცდება ის გაზვიადებული ცილის-წამება, რომელსაც მათი მკაცრი მოპირდაპირე ფრა-სურიანო და მ. ბუშე გადმოგვცემენ. ყველასაგან ისტორიულ ფაქტად აღიარებულია, რომ ქართველები მუდამ დაშორებული იყვენ იმ გაუგებარ სარწმუნოებრივ ფანატიზმს, რომელიც ახასიათებდა ბერძნებს. ამისთვის ქართველების დაცემის უმთავრესი მიზეზი სხვაგან უნდა გამოვნახოთ. ჩვენის აზრით, თვით იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების აწეწ-დაწეწა იყო იმის მიზეზი, რომ პალესტინის ბერებმა ვეღარ შესძლეს ახალი ელემენტის შემატება. საერთოთ ეს ხანა იყო ხანა ჩვენი ეროვნული ცხოვრების დასუსტებისა. **შ. ვ.**

III. წმიდა-ჯვრის მონასტერი.

როდესაც ვლაპარაკობთ „ქართველებზე იერუსალიმში“,

არ შეიძლება არ შევეხოთ წმიდა-ჯვრის სავანესაც, რომელიც დიდხანს ქართველების ხელში იყო. ეს სავანე მდებარეობს წმიდა ქალაქის დასავლეთით, დაახლოებით ორი ვერსის მანძილზე ზეთის-ხილით მოშენებულ ერთ პატარა ხევში, რომელსაც გარს არტყია ქვიანი ბორცვები. ამ ადგილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის, რადგან მრავალ საუკუნეთა გადმოცემით ეს ის ადგილია, სადაც მოჰკვეთეს ხე მაცხოვრის ჯვრის გასათლელად *).

წმიდა-ჯვრის სავანის დასაწყისი უფრო ძნელი გამოსარკვევია, ვიდრე ხსენებული მოთხრობისა. მაინც ვცადოთ, გავა-

---

*) ეს თქმულება მრავალი სახით არის გადმოცემული. ე რ ნ უ ლ ი ს (1231) აზრით, რომელიც მრავალმა მემატიანემ განიმეორა, — როდესაც ადამი კვდებოდა, შვილებს აკრძალული ხის ერთი შტო მოატანინა, და რა პირში ჩაიდო იგი, სული განუტევა. შვილებმა პირიდან შტო ვეღარ გამოჰგლიჯეს და შტოიანათ დამარხეს. საფლავზე აღმოცენდა ხე, რომლის ტანში ადამის თავი (ქალა) მოექცა. ქრისტეს ჯვარცმის დროს ეს ტანი სისხლით მოირწყო. (La Citez de Ihérusalem. Itinéraires Français. Genève. 1882, p. 46). სხვა უფრო გავრცელებული თქმულებით, ლოტმა ერთად დარგო კვიპაროზის, კედრის და კატრის ხეები. ეს სამივე ხე შედუღდა და ერთ ხედ გადაიქცა. სხვა და სხვა საარაკო შემთხვევების შემდეგ ეს ხე მოსჭრეს და მაცხოვრის ჯვრად გასთალეს. ბერძნის ბერებმა, — რომელთაც კრიტიკისა არა ესმით რა —, რამდენიმე წლის წინეთ დაახატვინეს თოთხმეტი სურათი ამ მოთხრობის სხვა და სხვა შემთხვევათა წარმოსადგენად. თუმცა ამ მხატრობას არავითარი ისტორიული ღირებულება არა აქვს, მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მარტივ მლოცველებზე და უმთავრესად კი რუსებზე.

შუქოთ ნაწილი სინამდვილისა, რასაც თანამედროვე გადმოცემა შეიცავს ამ ორ საკითხზე.

რომელ წელს მიეწერება წმიდა-ჯვრის ადგილზე გაშენებული პირველი სავანე? ყველა ის მკვლევარნი, რომელ-

თაც ეს საკითხი შეისწავლეს, ერთი მეორეს სრულებით არ ეთანხმებიან. როგორც ზემოდ ვსთქვით, პროკოპი მოგვითხრობს, რომ მეფე იუსტინიანემ განაახლა ლაზების სავანე იერუსალიმის უდაბნოში. მრავალნი ირწმუნებიან, რომ ეს ლაზების სავანე არის სწორეთ წმიდა-ჯვრის სავანე. ხოლო ზოგიერთნი კი, რომელნიც ისტორიას წარმოდგენით ჰქმნიან, გადაჭრით ამბობენ, რომ ეს სავანე გაშენებულ იქნა იმ მიწაზე, რომელიც თვით კონსტანტინე დიდმა ან წმიდა ელენემ მისცა ქართველების პირველ მეფეს მირიანსა. ამის გარდა სხვანიც ამტკიცებენ, რომ ხსენებული სავანე მხოლოდ მე-V საუკუნეში გაშენდა, დაახლოებით იმავე რიცხვში, ესე იგი 480-ში, როდესაც ივერიელებმა იერუსალიმის ქალაქში *) თავიანთი სავანე გააშენეს. დასასრულ, არის რამდენიმე ისეთი მწერალი, რომელიც ფიქრობს, რომ ამ სავანის დაარსება მე-VII საუკუნეში მოხდა, ერეკლე იმპერატორის დროს **). სპარსელებისგან წმიდა ჯვრის დახსნამ და ზემოდ აღნიშნულ მოთხრობამ, ცხადია, დიდი გავლენა იქონია მემატიანეთა მსჯელობაზე, რადგან ამათ არც ერთი დასაყრდნობი საბუთი არ აქვთ თავიანთი ნათქვამის გასამართლებლად. ამის გარდა შემდეგში დავინახავთ, რომ ჯვრის მოთხრობა მე-VII საუკუნეში არც კი არსებობდა.

---

*) Chr. Papadopulos, ‘Η ἱερά μονή τοῦ Σταυροῦ. Jérusalem. 1905, p. 17-18.

**) Fr. Liévin de Hamme. Guide indieateur de la Terre Sainte. Jérusalem , 1888, t. II, p. 6; Chr. Papadopoulos, op. cit., p. 19.

მიუხედავათ ამ ერთი-მეორის საწინააღმდეგო და გამოგონილ ისტორიულ საბუთებისა, დანამდვილებით უნდა მივიღოთ, რომ არაბების დაპყრობის უწინ წმიდა-ჯვრის ადგილზე ერთი სავანე არსებობდა, რადგან სხვა და სხვა მე-XI საუკუნის ხელნაწერები გადმოგვცემენ, რომ ქართველმა ბერმა პროხორემ განაახლა წმიდა ჯვრის სავანე 1040 წელს *).

მართალია, რამდენიმე ამ ხელნაწერთა შორის მხოლოდ

სავანის დაარსებაზე ლაპარაკობს, მაგრამ უმრავლესობა კი ამ-ბობს, რომ მაშინ მხოლოდ განახლება მოხდაო. თუ ეს სავანე ნამდვილათ არსებობდა მე-XI საუკუნემდე, ეჭვს გარეშეა, მისი დაარსება ბიზანტიის ბატონობის ხანას უნდა მიეწეროს, რად-გან არაბები, რომელნიც ხშირად ძალიან სასტიკნი იყვნენ ქრისტიანებისადმი, ნებას არ დართავდენ ახალი სავანის ასაშე-ნებლად.

უფრო ადვილი გამოსარკვევია სათავე ჯვრის ხის მოთხრო-ბისა, ვიდრე სავანისა. საერთოდ ამბობენ, რომ ის დაახლოე-ბით მე-VII საუკუნეს (ერეკლეს დროს) ანუ თვით მე-VI სა-უკუნეს ეკუთვნის. მაგრამ ჯვაროსნობაზე ადრინდელს ვერც ერთს საბუთს ვერ მივაგენით, რომელიც მას ოდნავ იხსენიებ-დეს. არც ერთი მლოცველი მე-XII საუკუნისა არ ლაპარაკობს არც ჯვრის ხის მოთხრობაზე და არც სავანეზე. ეს საერთო დუმილი სავანეზე ადვილი გასაგებია, მაგრამ ესევე არ ითქმის ჯვრის მოთხრობაზე. ყველა ისინი, რომელთაც თავიანთი სუ-ლიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოილოცეს იე-რუსალიმის მიდამოებში მდებარე უფრო ნაკლებ თვალსაჩინო სამლოცველოები, არ გამოსტოვებდენ იმ ადგილს, სადაც წმი-და-ჯვრის ხე მოიჭრა. მაშასადამე უნდა დავასკვნათ, რომ ეს მოთხრობა ჯვაროსნებზე უძველესი არ არის.

---

*) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 20.

პროხორეს მიერ განახლებულ სავანესაც მალე ეწია ის ბედი, რომელიც განიცადეს დასავლეთის ქრისტიანთა დაწესე-ბულებებმა, მრავალ საუკუნის განმავლობაში ხელუხლებელი რომ იყვნენ. 107I-1078 წლამდე პალესტინა სისხლის ღვრის ასპარეზი გახდა; ამ წლებში სელჯუკებმა დაიპყრეს ქ. რამლეჰ და იერუსალიმი, და მოაოხრეს მთელი წმ. ქვეყანა. ამ დარბე-ვამ დიდად ავნო განსაკუთრებით წმიდა-ჯვრის სავანეს, რადგან სელჯუკებმა ნაწილი შენობისა დაანგრიეს და მცხოვრებნიც მთლად ამოხოცეს. საკურთხეველის მოკენჭილ იატაკზე დღესაც მოჩანს სისხლის კვალი *) წამებულ ქართველ ბერებისა.

ეს სავანე ჯვაროსნებმა იმავე მდგომარეობაში ნახეს, როგორც სელჯუკებს დაუტოვებიათ, ესე იგი, ძალიან დაზიანებული, მაგრამ მთლად დანგრეული კი არა. სევულფის ასეთსავე განადგურებულ მდგომარეობაში ხვდება 1102 წელს; ხოლო რუსი დანიელი კი, რომელმაც 1106 ანუ 1107 წელს დაჰყო იერუსალიმში, გადმოგვცემს, რომ მისგან ნახული სავანე თითქმის ერთიან განადგურებული იყოს. მაშ ისტორიულ სინამდვილეთ უნდა მივიღოთ, რომ 1102-1106 წლებში მოხდა შეკეთება, რომელიც ესაჭიროებოდა ხსენებულ სავანეს.

მთელ მე-XII საუკ. განმავლობაში ქართველები მშვიდობიანათ ცხოვრობდენ თავიანთ სავანეში და არავითარი შევიწროება არ განუცდიათ ჯვაროსნებისაგან; მემატიანენი მხოლოდ

---

*) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 21.. ზოგიერთ მემატიანების აზრით ეს ნიშნები ეკუთვნის მე-VI საუკუნეს (სამარიტელების ღარბევა); სხვათა გადმოცემით კი მე-VII საუკ. (სპარსელების ანუ არაბების დარბევა). ჩვენის აზრით, ასეთი ძველი დროების ჩვენება ზღაპრულია და ისტორიულ სინამდვილეს მთლად მოკლებული, რადგან უკვე ვიცით, რომ ეკლესიის ხსენებული იატაკი პროხორე წინამძღვარმა მოაკენჭინა.

ერთ შემთხვევას აღნუსხვენ: 1178 წელს იერუსალიმის მეფე ბალდოვინი მე-IV (1173-1185) — სწორედ არ ვიცით, რა პირობების გამო — ხსენებულ სავანის გარშემო მდებარე ვენახებს ქართველებს ართმევს და უთმობს წმიდა-საფლავის კანონიკოსებს — მეჟამნეებს *).

ჯვაროსანთა თანამედროვე ქართველი მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდენ წმიდა-ჯვრის სავანეს. ბაგრატ მეფის შემდეგ, რომელიც ამ სავანის განახლებაში დაეხმარა პროხორეს, დავით მე-II (1089-1125) და თამარ მეფეც (1184-1211) უხვად წყალობდენ მას. ამ უკანასკნელმა იერუსალიმში გააგზავნა სახელ-განთქმული პოეტი რუსთაველი და გაატანა ძვირფასი ძღვენი წმიდა-ჯვრის ეკლესიის გასამშვენიერებლად.

იერუსალიმის ლათინთა მთავრობის დამხობის შემდეგ

იმისდა მიუხედავად რომ ქართველებს კავშირი ჰქონდათ ეგვიპტის მამელუკებთან, იმათმა სავანემ მაინც ზედი-ზედ განიცადა დარბევა სარკინოზთაგან (Sarrasins). ბელეკ-ზაჰირ-ბიბარსის მეფობის დროს (1260-1277) შეიხ ჰიდრმა განდევნა სავანიდან ქართველი ბერები და თვითონ დაბინავდა; მაგრამ სულ ცოტა ხნით, ვინაიდან მალე იძულებული გახდა დაებრუნებინა სავანე თავის კანონიერ მესაკუთრისათვის. სამწუხაროდ იგივე განმეორდა ოცდა ათი წლის შემდეგ, მელეკ-ენ-ნაზერ-ბენ-ხალაუნის (1293-1341) მეფობის დროს. ამ შემთხვევაში კი წართმეულ დაწესებულების დასაბრუნებლად საჭირო გახდა, რომ 1305 წ. 24 მკათათვეს საქართველოს მეფეს გაეგზავნა საგანგებო ელჩი, რომელსაც მხარი დაუჭირა ბერძნის იმპერატორმა ანდრონიკე მეორემ **).

---

*) Prof.le Patriareat latin de Jėrusalem (en russe). Saint-Pėtersbourg. 1903, t. II, p. 167.

**) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 27.

ამ სხვა და სხვა განსაცდელის შემდეგ მყუდრო ხანა დაუდგა წმიდა-ჯვრის სავანეს, რომელმაც მეფეების, თავადების და საერთოდ მორწმუნე ხალხის შემოწირულობის წყალობით შეიძინა საქართველოში ბევრი უძრავი მამული და მეტოქი *). ამ მამულების წარმოებისათვის საქართველოში გამგეთ დანიშნული იყო ეგზარხოსი, რომელსაც ჯვარის-მამას ეძახდენ **). სამწუხაროდ ქართველებმა იერუსალიმშიც კი გადაიტანეს თავიანთი შინაური უთანხმოება: ხშირად ერთ და იმავე დროს წმიდა-ჯვრის უმფროსად ორი პიროვნება იყო, ერთი ზემოსი და მეორე ქვემო საქართველოს ბერებისათვის. ეს რა საკვირველია, წესიერების და მშვიდობის განმტკიცებას ხელს არ უწყობდა სრულებით ***). ამისდა მიუხედავად ამ ხანაში და განსაკუთრებით კი მე-XIV საუკუნეში უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია ქართველების გავლენამ პალესტინაში. წმიდა-ჯვრის სავანის მამულების რიცხვი მატულობს. მის მახლობელ სოფელ „მალჰაში" დაბინავებული ქართველი ახალშენები ხნავენ და

სთესვენ მიდამო ადგილებს. ურიცხვი მწერლები და მთარგმნელები ამდიდრებენ ეროვნულ ლიტერატურას ****). ეჭვ გარეშეა, ეს სავანე უტყუარი კერაა პალესტინის დაწესებულუბათა.

გარეგნული შეხედულობით ის ციხე-კოშკს მიაგავს, გარს არტყია ძლიერი გალავანი, რომლის სისქეში დატანებულია

---

*) მეტოქი = სახლი, ეკლესია ან სხვა რამ შენობა დამოკიდებული დედა სავანეზე. **შ. ვ.**

**) Tsagarelli. Souvenirs de l'antiquitė gėorgienne en Terre Sainte et au Mont Sinai (en russe). Saint-Pėtersbourg, 1888, p. 57, 68.

***) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 30.

****) იერუსალიმში ბერძნის საპატრიარხო ბიბლიოთეკა დღესაც შეიცავს 147 ქართულ ძველ ხელნაწერს; ამ წიგნების სია გამოქვეყნებულია ცაგარელის მიერ. Cf. Pravoslaviou Palestinskii Sbornik. Saint-Pėtersbourh, 1883, t. IV, p. 144-191.

დაბალი რკინის კარი და პატარ-პატარა მოაჯირიანი სარკმლები. მთელი შენობის შუა ნაწილი ეკლესიას უჭირავს; ამის გარშემო მიჯრით მიშენებულია მრავალი სენაკი, სამას სამოცდა ხუთიო, ამბობს მე-XVI საუკუნის დასაწყისის ერთი მლოცველი *), ოთხასამდეო, ამბობს სხვა მლოცველი, რომელიც ასი წლის შემდეგ ყოფილა წმიდა-ჯვრის სავანეში **).

ის საერთო დაცემა, რომელსაც მე-XV საუკუნის დასასრულიდან ქართველების ყველა დაწესებულება განიცდიდა, წმიდა-ჯვრის სავანესაც ეწია; აქ უკვე მარტო ქართველი ბერები აღარ ცხოვრობდენ, რადგან ამ ხანის შემდეგ თითქმის ყოველთვის ბერძნებსაც ვხვდებით. ხოლო მე-XVI საუკუნეში სომხები, ნესტორიანები და იაკობიტელებიც ემატებიან ***). ამ დაცემის ერთი დამახასიათებელი ნიშანი შემდეგი იყო: წმიდა-ჯვრის ეკლესიაში, ისე როგორც სხვა ქართულ სავანეებში, ჟამ-კანონი და თვით წმ. წირვა ჩვეულებრივ ბერძნულად წარმოებდა და იშვიათად ეროვნულ ენაზე.

არაბები ქართველ ბერების სისუსტით სარგებლობდენ და ხშირად აწუხებდენ და ავიწროებდენ მათ. ხან ეკლესიის მეჩე-

თად გადაკეთებას ემუქრებოდენ ბერებს ვითომ იმ მიზნით, რომ ძველად ასე მოქცეულიყვნენ, როდესაც ერთხელ კიდევ ჩამოერთმიათ მათთვის ეს სავანე ****). ხან ამ სავანის მიდამოებში დასახლებულ გლეხებთან მოსდიოდათ უსიამოვნება და ჩხუბი იმ ყანებზე, რომლებსაც სადავოდ ხდიდენ, ანუ ღალის გამო რომელსაც ვერ ღებულობდენ *****).

---

*) Papadopoulos-Kerameus, Τρία ἀνώνυμα Προσκυνητάρια Τής ιστ ἑκατονταετηρίδος. Saint-Pétersbourg, 1896, p. 26-27.

**) Tobler, op. cit., t. II, p. 740.

***) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 33.

****) A. Papadopoulos-Kérameus, ‘Ανάλεκτα ‘Ιεροσολυμι-Τικής Σταχυοογίας, t. IV, p. 469.

*****) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 35.

ქართველები კი ცდილობდენ როგორმე წელში გამართულიყვნენ და თავიდან აეშორებიათ მოსპობის განსაცდელი, რომელიც ასე სასწრაფოდ მოედო მათ. 1643 წელში ნიკიფორე იღუმენმა განაახლა ეკლესია მეფე ლევან დადიანის შემოწირულობითა და დახმარებით; მაშინდელი მხატვრობა დღევანდლამდე დაცულია *). სამი წლის შემდეგ, 1646 წელში, იმავე იღუმენმა სავანის ზოგიერთი ნაწილების განახლება დაიწყო, მაგრამ მისი დამთავრება სულთან იბრაიმის განკარგულებით შეჩერებულ იქმნა, სანამ არ გადიხდიდა დაგვიანებულ ღალასა და სახლის ვალებსა **).

ნიკიფორის მოადგილეებმა არ წაჰბაძეს მის ფრთხილ მართველობას; განსაკუთრებით გაბრიელ იღუმენმა და მელეტმა თითქმის განზრახ სულ უმიზნოდ და დაუფიქრებლად უზომო ვალებში ჩაფლეს წმიდა-ჯვრის სავანე. ამ გაჭირვებულ მდგომარეობის გამოსასწორებლად უხვი შემოწირულობა გაგზავნილ იქმნა საქართველოდან, მაგრამ დანიშნულებამდე ვერ მიაღწია, ან წამღებლების უსინდისობისა ან და მეკობრეთა მტაცებლობის გამო ***).

ქართველების ფინანსიურ გაჭირვებით სომხებს უნდოდათ

ესარგებლათ და შეესყიდათ წმიდა-ჯვრის სავანე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ბერძნის პატრიარხმა დოსითემ 1685 წლის აპრილში გაიმარჯვა მათზე და შეიძინა ქართველების მთელი ქონება, რომელზედაც დიდი ხანია გული უთქვამდა. ამავე დროს მან გამოსცა მკაცრი წესები, რათა სავანე ხელმეორეთ აღარ ჩავარდნილიყო ვალებში და აგრეთვე ბერების ზნეობრივი

*) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 40-42.

**) A. Papadopoulos-Kérameus, op. Cit., t. IV, p. 470.

***) Chr. Papadopoulos, op. Cit., p. 44-44.

ღირსებაც დაცული ყოფილიყო *). მაგრამ თავისუფალ ცხოვრებას დაჩვეულმა ქართველებმა ყურადღება არ მიაქციეს პატრიარქის განკარგულებას და თავიანთი ურჩობით ხშირად მიაყენეს მას უსიამოვნება. ამის შემდეგ, თავის-თავად ცხადია, სავანის მართველობა ჩამოერთვა მათ და გადაეცა ბერძნებს, თუმცა ზოგიერთი უფლება დაუტოვა პატრიარქმა, სხვათა შორის, თვეში ერთ გზის თავიანთ ეროვნულ ენაზე წირვის შესრულება და სავანის იღუმენად გახდომა. ცნობილია მხოლოდ ორი ქართველი ბერი, რომელთაც მიიღეს ეს თანამდებობა: ქრისტეფორე, მე-XVII საუკ. დასარულს და გერასიმე 1841-ში. წმიდა-ჯვრის სავანესთან ერთად ქართველების ყველა საკუთრება საბოლოოდ გადავიდა ბერძნების ხელში.

ამ სავანის ახლოს, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ, არის სხვა დაწესებულება, კატამონის ანუ კატამონასის სავანედ წოდებული; დღეს ეს იერუსალიმის ბერძნის პატრიარქის საზაფხულო სახლად არის გადაქცეული. საერთოდ მიღებულია, რომ ეს შენობა ეკუთვნოდა მოხუცს წმიდა სიმეონსა, რომელზედაც ლაპარაკობს მახარებელი წმ. ლუკა (II, 25). ამბობენ, ვითომ საქართველოს მეფე ვახტანგს 1177 წელში შეესყიდოს ეს ადგილი და აღეშენოს სავანე თავის ქვეშევრდომ ქართველ ბერებისათვის. ეს კი მაინც ცხადია, რომ საშუალო საუკუნეში ხსენებული სავანეც ქარველების ხელში იყო. ფრა სურიანო გვიმტკიცებს ამის სინამდვილეს და დასძენს, რომ ქართველები

იძულებული გახდენ მიეტოვებიათ კატამონის სავანე მე-XVI საუკუნეში, რადგან 1515-1524 წლამდე ბედუინებმა ცხრა-მეტი მათგანი დახოცეს **). კატამონი, როგორც მოჩანს, წმი-

*) Chr. Papadopoulos, op. cit., p. 57.
**) Fra Suriano, op. cit., p. 132.

და-ჯვრის სავანეს ექვემდებარებოდა, და ამათთან ერთად გადა-ვიდა ბერძნების ხელში. 1859 წელს წმიდა საფლავის ბერმა აბრაამმა ქართული წარწერები აღმოაჩინა ხსენებულ კატამონის სავანები *).

IV. ქართველების მოსპობა იერუსალიმში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1640-1642 წელში გოლგოთის სამლოცველოს მომვლელი ქართველი ბერები იძუ-ლებული გახდენ ბერძნებისთვის დაეთმოთ თავიანთი ადგილი და გადასულიყვნენ წმიდა-ჯვრის სავანეში, სადაც ორმოციოდე წელიწადი დაჰყვეს. საუბედუროდ წარსულმა მწარე გამოცდი-ლებამ მაინც გონებაში ვერ ჩააგდო იგინი. როდესაც 1685 წელში დოსითე პატრიარქმა წმიდა-ჯვრისა და სხვა დანარჩენი ქართული სავანეები დაისაკუთრა, მაშინვე ზომები მიიღო მან და მათი მკვიდრნი მცხოვრებნი ბერძნის სხვა და სხვა დაწესე-ბულებებში დაჰფანტა, რათა ერთიან მოესპო ის მცირედი გავ-ლენაც, რომელიც ქართველ ბერებს კიდევ შერჩენოდათ.

ამ დროიდან მოყოლებული ქართველები ჰკარგავენ ყო-ველგვარ მნიშვნელობას. ისეც გაძნელებული იყო მათი შემა-ტება, რადგან საქართველოდან თითქმის აღარავინ მიდიოდა პალესტინის სავანეებში. ამას დაერთო ისიც, რომ გაბატონე-ბული ბერძნები მათ შესახებაც იმ ღონისძიებას ღებულობდენ, რომელსაც უძველეს დროიდან ჰქონდა ადგილი პალესტინის მართლმადიდებელ არაბებისადმი; ეს იყო უცხო ტომის ბერთა

*) Palestine exploration Fund. Quaterly Statement, octobre 1911, p. 185.

სისტემატიური მოშორება თავიანთ სავანეებიდან. ქართველი ბერები საბოლოოდ მოისპენ ვგონებთ მე-XVIII საუკუნის განმავლობაში, თუმცა მე-XIX საუკ. ვხედავთ რამდენსამეს; მაგრამ ეს უკვე გამონაკლისს შეადგენს.

ესრედ ამაყმა ქართველმა ხალხმა თერთმეტ დაწესებულებიდან, იერუსალიმსა და მის მიდამოებში რომ ჰქონდა ოდესღაც, საბოლოოდ ერთიც ვერ გადაარჩინა დაღუპვისაგან. მისი უძველესი ღირსებისა და გავლენის ხსოვნა სხვა ფრივ აღარ არსებობს პალესტინაში, თუ არა ბერძნის საპატრიარქო წიგნთსაცავის ხელნაწერებში, სხვა და სხვა ძვირფას წარწერებსა და მხატვრობაში, იმ დროიდან რომ დაშთენილია. ადამიანის შურმა, მტრობამ და დროთა ვითარებამ დღემდის კიდევ ვერ შესძლო მათი ამოფხვრა სრულიად. დღეს კი იერუსალიმს მისული ქართველები, შობის და აღდგომის დღესასწაულებში, უცხო ტომის საზოგადოებებს სთხოვენ სტუმრობას და ბინავდებიან სომხების წმიდა-იაკობის სავანეში, ანუ რუსების სხვა და სხვა დაწესებულებებში.

როდესაც 1841-ში პალესტინის რუსის მისია მივიდა იერუსალიმს, სულ უნაყოფოდ შეეცადა ჯერედ წმიდა-ჯვრისა და მემრე წმიდა-აბრაამის და წმიდათა-თეოდორეთა სავანეების დაპატრონებას. რუსები თავიანთ თავს ქართველების კანონიერ მემკვიდრეებათ აღიარებდენ, რადგან სამოციოდე წლის წინეთ ამათი ეროვნული ეკლესია პეტერბურგის წმიდა-სინოდისათვის დაექვემდებარებიათ. დღესაც კიდევ ამავე საბუთით თხოულობენ წირვის შესრულების უფლებას წმიდა საფლავზე და სხვა საკურთხეველებში. მიზანს მიაღწევს თუ არა მათი მოთხოვნილება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

რ. ჟანენ.